

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება # _____

(თარიღი) -----

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი

- ✓ დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი _____
- ✓ დეპოზიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- ✓ დეპოზიტის თანხის ოდენობა და ვალუტა _____
- ✓ დეპოზიტის ვადა _____, დეპოზიტის პირველი ვადის ამოწურვისას, თუ დეპოზიტის მოქმედების ვადის გასვლამდე 31 კალენდარული დღით ადრე დეპოზიტარი არ მიმართავს ბანკს, რომ აღარ სურს დეპოზიტის განახლება, წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება (განახლება) იმავე ვადით და პირობებით¹. ეს წესი გამოიყენება დეპოზიტის ვადის ყოველი ამოწურვისას.
- ✓ დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური _____%.
- ✓ თუ დეპოზიტორს თანხა გააქვს ვადაზე ადრე დეპოზიტის მოქმედების პირველი ვადის დასრულებამდე, დეპოზიტის საკომისიოს გარეშე განაღდებას (გატანას) შეძლებს მხოლოდ შესაბამისი საბანკო (საგადახდო) ბარათით, რომლის დამზადების ღირებულება შეადგენს 10 ლარს.
- ✓ თუ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ, ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს დეპოზიტორს. ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით².

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები დეპოზიტორმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!³

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს⁴

¹ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე.

² იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე

³ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁴ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____⁵

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა www.nbg.ge/cp და ცხელ ხაზზე +995 (32) 2406 406

ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება N

ქ. _____

“_____“ _____ 20 ___ წ.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ _____ (შემდგომ – ბანკი) მისი _____
_____ სახით ერთი მხრივ, და ფიზიკური პირი _____
(შემდგომ - დეპოზიტორი) მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 დეპოზიტორს შეაქვს ბანკში თანხა N _____ სადეპოზიტო ანგარიშზე, ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით უბრუნებს დეპოზიტორს.
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების პირობები

- 2.1 დეპოზიტის თანხის შეტანის განხორციელება ხდება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
- 2.2 დეპოზიტის თანხის ოდენობა და ვალუტა _____ აღნიშნული თანხა, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ბანკის მიერ ჩამოიჭრება დეპოზიტორის _____⁶ ანგარიშიდან და ჩაირიცხება 1.1 პუნქტში მითითებულ სადეპოზიტო ანგარიშზე.
- 2.3 დეპოზიტის ვადა _____
- 2.4 დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი წლიური _____
- 2.5 დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წლიური _____
- 2.6 დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი წლიური _____⁷
- 2.7 ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში დეპოზიტის გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური _____⁸
- 2.8 დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური _____ %.
- 2.9 საპროცენტო სარგებელის გატანა ხდება: ა) ყოველთვიურად*
ბ) ვადის ბოლოს.**

⁵ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁶ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი

⁷ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

⁸ იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

- 2.10 დეპოზიტზე პროცენტის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად, 365 დღეზე გაანგარიშებით.
- 2.11 დეპოზიტზე დამატებითი შენატანების შეტანა და დეპოზიტიდან თანხის ნაწილობრივი გატანა დაუშვებელია.
- 2.12 ბანკი, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დაუკავებს დეპოზიტორს საშემოსავლო გადასახადს საპროცენტო სარგებლიდან.
- 2.13 სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა/გატანა და პროცენტის დარიცხვა/გატანა წარმოებს დეპოზიტორის მიმდინარე/საბარათე ანგარიშის მეშვეობით.
- 2.14 დეპოზიტის ვადის გასვლისას დეპოზიტის თანხა გადადის დეპოზიტორის⁹ _____ ანგარიშზე.
- 2.15 დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი გადადის დეპოზიტორის _____ ¹⁰ანგარიშზე.
- 2.16 დეპოზიტის მოქმედების ვადის დასრულებისას, დეპოზიტის განახლების შემთხვევაში, დარიცხული საპროცენტო სარგებლის გატანა არ ხდება და ამ თანხით იზრდება დეპოზიტის თანხა.¹¹
- 2.17 თუ დეპოზიტორს თანხა გააქვს ვადაზე ადრე დეპოზიტის მოქმედების პირველი ვადის დასრულებამდე, დეპოზიტის საკომისიოს გარეშე განაღდებას (გატანას) შეძლებს მხოლოდ შესაბამისი საბანკო (საგადახდო) ბარათით, რომლის დამზადების ღირებულება შეადგენს 10 ლარს.
- 2.18 ყველგან, სადაც პროცენტის ოდენობა ან/და მხარეთა უფლება - მოვალეობები დაკავშირებულია დეპოზიტის ვადასთან, იგულისხმება, კონკრეტული ვადები [დეპოზიტის გახსნის/განახლების თარიღიდან უახლოესი ვადის დასრულების თარიღამდე] და არა სავარაუდო ან უკვე განხორციელებული განახლების საერთო ვადა/ვადები.

3. დეპოზიტორის უფლება-მოვალეობები

- 3.1 დეპოზიტორი ვალდებულია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის სურვილის შემთხვევაში, 31 კალენდარული დღით ადრე მიმართოს ბანკს.
- 3.2 დეპოზიტორი უფლებამოსილია:
 - 3.2.1 გაიტანოს დეპოზიტი ვადის დადგომისას ან ვადაზე ადრე.
 - 3.2.2 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიიღოს ბანკისაგან ინფორმაცია მის სადეპოზიტო ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ.
 - 3.2.3 წარადგინოს ბანკის ქსელის განვითარებისა და ადმინისტრირების განყოფილების პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფთან პრეტენზიები თავსართში მითითებული ფორმებით.
 - 3.2.4 გაეცნოს პრეტენზიების განხილვის პროცედურას ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.vtb.ge

4 ბანკის უფლება-მოვალეობები

- 4.1 ბანკი ვალდებულია:
 - 4.1.1 მიიღოს დეპოზიტორისაგან დეპოზიტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
 - 4.1.2 დაარიცხოს დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
 - 4.1.3 დაუბრუნოს დეპოზიტორს დეპოზიტი და დარიცხული საპროცენტო სარგებელი იმავე ვალუტით.

⁹ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი.

¹⁰ ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი.

¹¹ იწერება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე, ხდება პროცენტის კაპიტალიზაცია და კლიენტის მიერ არჩეულია პროცენტის ვადის ბოლოს გატანა.

- 4.1.4 დაიცვას საბანკო საიდუმლოება, დეპოზიტორის თანხმობის გარეშე არ გასცეს მესამე პირზე კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 4.1.5 დეპოზიტორს პრეტენზიაზე პასუხი გასცეს იგივე ფორმით პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.
- 4.2 ბანკი უფლებამოსილია დეპოზიტორთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.
- 4.3 ბანკი უფლებამოსილია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტორზე გასაცემი დეპოზიტის თანხა დააკორექტიროს დეპოზიტორის მიერ უკვე გატანილი საპროცენტო სარგებლის და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხის გათვალისწინებით.¹²

5 განსაკუთრებული პირობები

- 5.1 თუ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, დეპოზიტორი არ არის უფლებამოსილი გაიტანოს დეპოზიტის თანხა.
- 5.2 თუ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ან/და ბანკს სხვა სამართლებრივი საფუძვლით წარმოეშობა უფლება, რომ საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დეპოზიტზე არსებული სახსრების ხარჯზე, ბანკის მიერ დეპოზიტიდან თანხების ჩამოჭრა გამოიწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა, კერძოდ, ბანკის მიერ სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური _____ %, ხოლო ჩამოჭრის შემდეგ დარჩენილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და დარიცხული საპროცენტო სარგებელი აისახება დეპოზიტორის ანგარიშზე (მიმდინარე ან საბარათე, ხელშეკრულების შესაბამისად).
- 5.3 თუ დეპოზიტის მოქმედების ვადის გასვლამდე 31 კალენდარული დღით ადრე დეპოზიტორი არ მიმართავს ბანკს, რომ აღარ სურს დეპოზიტის განახლება, დეპოზიტის 2.3 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვისას წინამდებარე დეპოზიტი ავტომატურად განახლება იმავე ვადით და პირობებით. ეს წესი გამოიყენება დეპოზიტის ვადის ყოველი ამოწურვისას¹³
- 5.4 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ, შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს დეპოზიტორს.
- 5.5 თუ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინებიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე დეპოზიტორი არ განაცხადებს უარს განახლებაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე პირობებით/ვადით და შეცვლილი საპროცენტო განაკვეთით.
- 5.6 ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით. თუ დეპოზიტორი შეცვლის მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაქნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება დეპოზიტორის მიერ ინფორმაციის მიღებად.
- 5.7 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ბანკი თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისაგან.
- 5.8 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი განახლებაზე.

¹² იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად ან დეპოზიტის გახსნისთანავე გატანის შემთხვევაში.

¹³ ხელშეკრულების 5.3 – 5.8 პუნქტები იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორს ავტომატური განახლება სურს დეპოზიტის გახსნისთანავე.

6 დეპოზიტის დაზღვევის შესახებ

- 6.1 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge
- 6.2 **რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ?** – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- 6.3 **როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით?** – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.
- 6.4 **კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები.
- 6.5 **ანაზღაურების ვალუტა** – ლარი.

7 სხვა პირობები

- 7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
- 7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 7.3 მხარეთა შორის წამოჭრილი უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

8 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი	დეპოზიტორი
 (სახელი, გვარი)
 (მისამართი)
 (პირადობის დამადასტურებელი საბუთის სხვა რეკვიზიტები)
	ტელეფონი.....
	ელ. ფოსტა:
	ხელმოწერა

* - იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად გატანის შემთხვევაში.

** - იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ვადის ბოლოს გატანის შემთხვევაში.